ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №16

ქ. თბილისი 13.12.2019

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ მასწავლებელი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს მდივანი;
4. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
5. **დავით ჭეიშვილი** - სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N 87 საჯარო სკოლის დირექტორი;
6. **გელა მაჭარაშვილი** - სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N 2 საჯარო სკოლის დირექტორი;
7. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ თბილისის N 64 საჯარო სკოლის დირექტორი;
8. **ავთანდილ აბდუშელიშვილი** - შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი;
9. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი;
10. **ნინო ჯანჯღავა** - ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექტორი;
11. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე.

2. **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

ნინო ფეტვიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლალი შაიმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტანტი;

რამაზი გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიტიკოსი;

ლევან გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს თამარისი

ბადრი ჯაფარიძე

მერი შავაძე

შპს ფრანგული სკოლა

ლუიზა თუთარაშვილი

მაია დევაძე

ა(ა)იპ საერთაშორისო ასოციაცია ინტელქტთან არსებული კერძო სკოლა ინტელექტი

ნანა ლომთაძე

ნარგიზა მელქაძე

შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერია

მადლენა მახარაძე

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

შპს თამარისი

ვერა ყურულაშვილი

ნინო მუმლაძე

შპს ფრანგული სკოლა

მაკა ნადარეიშვილი

თამარ მიდელაშვილი

ა(ა)იპ საერთაშორისო ასოციაცია ინტელქტთან არსებული კერძო სკოლა ინტელექტი

ქეთევან ბაცანკალაშვილი

ზვიად გოგუაძე

შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია იბერია

-

-

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია.

სხდომა გაიხსნა 16:00 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს თამარისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ფრანგულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. ა(ა)იპ საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტთან არსებული კერძო სკოლა ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიას ავტორიზაციის საკითხის ხელახალი განხილვა.

ამის შემდეგ მან მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარდგენილი ამიტომ დამტკიცდა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. **შპს თამარისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ვერა ყურულაშვილმა და ნინო მუმლაძემ.

ვერა ყურულაშვილის განმარტებით, სკოლამ წამოადგინა ის დოკუმენტები, რომლებიც ექსპერტების მიერ იყო მოთხოვნილი ვიზიტის პერიოდში, მათ შორის 2019-2020 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. იქიდან გამომდინარე, რომ გეგმა არ შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, ექპერტმა განმარტა, რომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია ხარვეზების გამოსასწორებლად. კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იყო გათვალისწინებული გამოცდების რაოდენობა და შესაბამისი კლასები, შემაჯამებელი დავალებების აღდგენის პრინციპები, ასევე სკოლის კალენდარი არ შეესაბამებოდა რეალურ თარიღებს. საათობრივ ბადეში ჩამოთვლილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნები, თუმცა, სკოლას ცხრილში არსებული საგნები სრულად არ ჰქონდა გათვალისწინებული სასკოლო სასწავლო გეგმაში.

ექპერტმა დამატებით განმარტა, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემა განსაზღვრავდა ქულების გაანგარიშების წესს, კლასისა და საფეხურის დაძლევის ბარიერებს, გამოცდების ტიპებს. სკოლა ატარებდა რეიტინგულ წერებს V-X კლასებში, თუმცა რა დატვირთვა ჰქონდა ამ წერებს არ ჩანდა. წერების ქულას გავლენა არ ჰქონდა საგნის წლიურ და სემესტრულ ნიშანზე. ექსპერტმა ისიც აღნიშნა, რომ ბავშვები და მშობლები ამ წერებს აღიქვამდნენ, როგორც გამოცდებს. რაც შეეხებოდა სტანდარტზევით საგანმანათლებლო მომსახურებას, დოკუმენტი შედგენილი იყო 2016-2017 სასწავლო წელს, რომლის მიხედვითა სკოლა სთავაზობდა მათემატიკის გაძლიერებულ სწავლებას კომაროვის სახ. სკოლის „შაბათის სკოლის" სახით, მაგრამ როგორც მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრებით გაირკვა ამ სკოლის მოსწავლეები არ სარგებლობენ ამ მომსახურებით.

ექსპერტთა განმარტებით, ხარვეზებთან დაკავშრებით სკოლას მიეც რეკომენდაციები, რომლებიც მათ სრულად გაიზიარეს.

სკოლაში ფუნქციონირებდა ექვსი კათედრა. სკოლის დირექტორის განმარტებით სპორტი შედიოდა ესთეტიკური აღზრდის კათედრის შემადგენლობაში, მაგრამ ექსპერტთა ვიზიტის განმავლობაში ვერ მოხერხდა ესთეტიკური აღზრდის კათედრის პორტფოლიოს წარდგენა, შესაბამისად, არ ჩანდა სპორტი იყო თუ არა რომელიმე კათედრაში გაერთიანებული. ექსპერტის თქმით, ვერ იქნა მოძებული აგრეთვე სპორტის მასწავლებლის პორტფოლიოც, თუმცა სპორტის მასწავლებელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სპორტის გაკვეთილები სკოლაში ტარდებოდა.

საბჭოს წევრმა ავთანდილ აბდუშელიშვილმა იკითხა, სპორტის რომელი სახეობებში ჰქონდა სკოლას აქტივობები.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლამ განმარტების მიხედვით, სკოლაში ატარებდნენ მაგიდის ჩოგბურთს, ჭადრაკს, და მათ ასევე გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულება ამხანაგობის თავმჯდომარესთან, რომლის თანახმადაც სკოლა სარგებლობდა ხელოვნურსაფარიანი ღია ფეხბურთის მოედნით, რაც არ იყო გათვალისწინებული სასკოლო სასწავლო გეგმაში. აღნიშნული სპორტის სახეობები დგინდებოდა გასაუბრებით.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა იკითხა, სად იყო გაწერილი რომ სკოლის დირექტორი იყო სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებაზე უფლებამოსილი. ექპერტმა უპასუხა, რომ ეს საკითხი გაწერილი იყო სკოლის შინაგანაწესში.

ექპერტებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში, მოცემულ საათობრივ ბადეში, სკოლის შენობაში გამოკრულ ცხრილში და სასკოლო ჟურნალებში მოცემული არჩევითი საგნები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. კერძოდ, მეათე კლასის ბადეში მოცემული იყო „საქართველოს ეთნოგრაფია“, ხოლო ჟურნალში და საგაკვეთილო ცხრილში აღნიშნული იყო „სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა“.

სკოლამ განმარტა, რომ გაითვალისწინეს ექსპერტთა რეკომენდაციები და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, მათ შორის დახვეწეს მისია, შეიტანეს ცვლილებები სასკოლო სასწავლო გეგმაში, შემაჯამებელი დავალებები შემუშავდა კათედრების შესაბამისად, მიიღეს შემაჯამებელი გამოცდების ერთიანი სქემა, ანალიზის ფორმები, დაზუსტდა სადამრიგებლო პროგრამები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, სკოლას ორ საკლასო ოთახში ჰქონდა განთავსებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ვიზუალური დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ სკოლას არ აქვს სრულად ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის სასკოლო ლაბორატორიის სრული კომპლექტი.

შპს ,,თამარისი'' მდებარეობდა ქალაქ ბათუმში, გორდეზიანის ქუჩა N3ა-ში. სკოლა განთავსებული იყო ოთხსართულიან შენობაში, რომლის საერთო ფართი იყო 1165,24 კვ.მ., რაც დასტურდებოდა 2019 წლის 7 ნოემბრის საჯარო რეესტრის ამონაწერით. ამონაწერის თანახმად, სკოლას იჯარის ხელშეკრულება ჰონდა გაფორმებული ფიზიკურ პირთან 4 წლის ვადით.

შენობაში იყო 18 საკლასო ოთახი; სკოლის შენობის მესამე სართულზე, მდებარეობდა ექვსი საკლასო ოთახი და ქიმიის ლაბორატორია, ორი ოთახი რომელიც გამოყენებული იყო სათავსოდ. მესამე სართულის ოთახებში იყო საპირფარეშოები თავისი საშხაპეებით.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, სკოლის მესამე სართულს ზაფხულობით იყენებდნენ სასტუმროდ და ოთახები ქირავდებოდა.

სკოლის მეორე და მესამე სართულზე დამონტაჟებული იყო ბუნებრივი აირის წყლის გამაცხელებლები, სულ სამი ცალი და ცენტრალური გათბობის ე.წ ბოილერები. სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა სოკარ - გაზის მიერ გაცემული დოკუმენტი აღნიშნული სისტემების უსაფრთხოების შესახებ.

სკოლის წარმომადგენელის განმარტებით, შენობის პირველ და მეორე სართულებზე განთავსებული იყო ცენტრალური გამათბობლები, ხოლო მესამე სართულზე იყო წლის გამაცხელებლები.

ექპერტთა თქმით, სკოლაში არ იყო შემუშავებული წესრიგის დაცვის მექანიზმები, არ იყო შემუშავებული განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების შესაბამისი უსაფრთხოების წესი. სკოლის შიდა პერიმეტრზე არ კონტროლდებოდა არცერთი სართულის კიბის უჯრედი და დერეფანი. სათვალთვალო კამერა არ იყო სკოლის მესამე სართულზე, ვიდეო კამარები განთავსებული იყო სკოლის პირველ და მეორე სართულზე და აკონტროლებდა მხოლოდ დერეფნებს.

მათ აღნიშნეს, რომ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, დაეყენებინა ვიდეო კამერები, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მესამე სართულის და კიბის უჯრედების გაკონტროლება მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით. აღნიშნული სკოლამ გაითვალისწინა.

საბჭოს წევრმა დ. ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში, შენობაში, ბუნებრივი აირის არსებობის შესახებ იყო საუბარი.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ ცენტრალური გათბობის ქვაბებზე იყო საუბარი, ხოლო მესამე სართულზე განთავსებული იყო წყლის გამათბობლები, რომლებიც ამ ეტაპზე დალუქული იყო და მოიხმარდნენ მხოლოდ ზაფხულში. ასევე განმარტეს, რომ სოკარ გაზთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მუდმივად მოწმდება ისინი.

საბჭოს წევრმა დ. ჭეიშვილმა იკითხა, ბიბლიოთეკაში რა რაოდენობის წიგნი ინახებოდა და მიეწოდებოდა თუ არა ინტერნეტი.

ექპერტის განმარტებით, შესყიდვების დოკუმენტით დასტურდებოდა, რომ სკოლაში იყო 900 წიგნზე მეტი, მათ შორის საკითხავი ლიტერატურა და გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები,

თუმცა ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებისას და ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნის მიხედვით სკოლის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა 254 წიგნი.

ადმინისტრაციის განმარტებით, მიმდინარეობდა სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის განახლება, რის გამოც წიგნების ნაწილი დასაწყობებული იყო. რაც შეეხებოდა ინტერნეტს, ბიბლიოთეკას მიეწოდებოდა ინტერნეტი, კომპიუტერული ოთახი და ბიბლიოთეკა ერთ სივრცეში იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონიათ.

17:20 გამოცხადდა შესვენება, 17:30 კი განახლდა.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს სკოლისათვის განესაზღვრათ 60 კალენდარული დღე ყველა ხარვეზის გამოსასწორებლად და ცენტრში წარმოსადგენად.

ამის შემდეგ საბჭო სხდომაზე განიხილავდა და მიიღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას.

2. შპს ფრანგულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ნადარეიშვილმა და თამარ მიდელაშვილმა.

ექსპერტ მაკა ნადარეიშვილის განცხადებით, დაწესებულებას სამივე სტანდარტთან მიმართებით ჰქონდა ხარვეზები, რაზეც მიეცათ რეკომენდაცია. რეკომენდაციების საფუძველზე გამოსწორებული ხარვეზები მათ წარმოადგინეს ცენტრში.

ექპერტთა განმარტებით, სასკოლო სასწავლო გეგმის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო კალენდარი და ცხრილი მოიცავდა გარკვეულ უზუსტობებს, კერძოდ XII კლასი სწავლობდა კვირაში 4 დღეს (ორშაბათი-ხუთშაბათი). სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, ამ გამონაკლისის დაშვება, მოხდა მშობლების მოთხოვნის საფუძველზე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საათობრივი ბადე, ნაწილობრივ თანხვედრაში იყო სკოლის მისიასთან (ისწავლება ფრანგული), თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმაში არაფერი იყო ნათქვამი ფრანგული ენის შესახებ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეებმა და მშობლებმა ინტერვიურების დროს ხაზი გაუსვეს სკოლაში არსებულ კეთილგანწყობილ გარემოს.

საბჭოს წევრებმა დაწესებულების წარმომადგენელს მიმართეს შეკითხვით, XII კლასის საკლასო ჟურნალში რატომ ეწერათ სპორტისთვის 2 საათი, მაშინ როდესაც სპორტისთვის მითითებულ კლასში განკუთვნილი მხოლოდ 1 საათი უნდა ყოფილიყო.

სკოლის განმარტებით, ეს იყო ჟურნალის შევსების დროს. დაშვებული შეცდომა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ იჯარის ხელშეკრულებას ვადა ამოეწურა 2019 წლის 15 აგვისტოს. სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა რეესტრის განახლებული ამონაწერი, თუმცა საბჭოზე ჰქონდა წარმოდგენილი. ვიზიტის დროს სკოლას დარღვევები ჰქონდა ლაბორატორიის, ბიბლიოთეკისა და სპორტულ მოედანთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრებმა სკოლის წარმომადგენელს უთხრეს, რომ აღნიშნული ხარვეზები სკოლას წლების წინ განხორციელებული მონიტორინგის საფუძველზეც ჰქონდა, თუმცა მათ ეს ხარვეზები კვლავ არ ჰქონდათ გამოსწორებული.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს სკოლისათვის განესაზღვრათ 60 კალენდარული დღე ყველა ხარვეზის გამოსასწორებლად და ცენტრში წარმოსადგენად.

ამის შემდეგ საბჭო სხდომაზე განიხილავდა და მიიღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას.

18:45 გამოცხადდა შესვენება.

18:55 განახლდა საბჭოს სხდომა.

3. **ა(ა)იპ საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტთან არსებული კერძო სკოლა ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა და ზვიად გოგუაძემ.

ექპერტმა ქ. ბაცანკალაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ ქუთაისში, ლ. ასათიანის ქ. N98-ში. სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას და გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ისეთ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს, როგორიცაა რუსული ენა, რომელიც ამავდროულად მოიცავდა ეტიკეტის სწავლებას. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის დაწესებულებაში ფუნქციონირებდა გახანგრძლივებული წრე, სადაც მოსწავლეებს სთავაზობდნენ დამატებით კონსულტაციებს სასწავლო საგნებში, მათ შორის ინგლისურ ენაში. აღნიშნული მომსახურება არჩევითი იყო მოსწავლეებისათვის. სკოლაში ფუნქციონირებდა ხუთი კათედრა. მათი მუშაობს დასადასტურებლად სკოლას ვიზიტის დროს წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისი საქაღალდეები.

ექპერტმა ზვიად გოგუაძემ მატერიალური სტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ სკოლამ საჯარო რეესტრის ამონაწერი განაახლა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ იჯარის ხელშეკრულებით არ იყო განსაზღვრული, საჯარო რეესტრის

ამონაწერით დგინდებოდა, რომ სკოლა 700.00 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართთან ერთად, ფლობდა 300 კვ.მ მიწის ნაკვეთს. აღნიშნულის თაობაზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობაში მოეყვანა იჯარის ხელშეკრულებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები.

მანვე აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმი, რომელიც უნდა ყოფილიყო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 06/ნ ბრძანების შესაბამისი. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელითაც მიმართა რესურსცენტრს აღნიშნულთან დაკავშირებით.

ვიზიტის მომენტში, სკოლაში ფუნქციონირებდა 10 კლასი (I, II, III, IV, VI, VII, IX, X, XI, XII), ხოლო V და VIII კლასებში არ ირიცხებოდა არცერთი მოსწავლე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა 9 საკლასო ოთახში და ბიბლიოთეკაში/კომპიუტერული ლაბორატორიაში, რომელშიც განთავსებული იყო სკოლის IX კლასი. ექსპერტთა განმარტებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია, IX კლასის საგაკვეთილო პროცესი წარემართა ერთ-ერთ საკლასო ოთახში, რათა სასკოლო საზოგადოებას ბიბლიოთეკის/კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების შეუზღუდავი შესაძლებლობა მისცემოდა. სკოლის წარმომადგენლებმა რეკომენდაცია გაითვალისწინეს მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში.

ექსპერტმა, ქ.ბაცანკალაშვილმა ადამიანურ რესურსთან მიმართებით აღნიშნა, რომ ამჟამად სკოლაში სულ **27** თანამშრომელი იყო დასაქმებული, საიდანაც 21 მასწავლებელი იყო. ექთნის ფუნქციას ითავსებდა სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო- აღმზრდელობით დარგში, რომელსაც არ უდასტურდებოდა შესაბამისი სამედიცინო განათლება, თუმცა ჰქონდა ექთნად მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. სკოლამ წარმოადგინა, რომ მათ ხელშეკრულება გააფორმეს ექიმთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტთან არსებული კერძო სკოლა ინტელექტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტთან არსებული კერძო სკოლა ინტელექტის (ს/კ 212708747) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. **შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიას ავტორიზაციის საკითხის ხელახალი განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ საკითხის განხილვამდე განმარტა თუ რატომ განიხილებოდა ხელახლა შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიის ავტორიზაციის საკითხი. მან განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი საბჭომ განიხილა 2019 წლის 3 დეკემბრის საბჭოს სხდომაზე და ვინაიდან შენობა რომელშიც სკოლა მდებარეობდა არ იყო ექსპლუატაციაში მიღებული, სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს სთხოვა საკითხის განხილვის გადადება მომავალ საბჭოს სხდომაზე, სადაც წარმოადგენდნენ შესაბამის დოკუმენტს. აღნიშნული შუამდგომლობა საბჭომ დააკმაყოფილა.

სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპლუატაციაში მიღების დოკუმენტი მას ამ ეტაპზე არ გააჩნდა თუმცა წარმოადგენდა დასკვნას შენობის საპროექტო და არსებული მდგომარეობის შესახებ და მშენებლის ახსნა-განმარტებას. ამ დოკუმენტის მიხედვით, შენობა აკმაყოფილებდა მდგრადობისა და სიმტკიცის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს. მშენებლის ახსნა-განმარტებით ექსპლუატაციაში მიუღებლობის მიზეზი პროექტშპი მცირე კორექტირება იყო. ცვლილებების პროექტი შესათანხმებლად იყო წარდგენილი მერიაში.

საბჭომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის ყველა სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიას ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 25-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, შპს მრავალდარგობრივ გიმნაზია იბერიას (ს/კ 245437772) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შედეგად სხდომა 19:45 საათზე დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

დავით მალაზონია

მდივანი

თამილა ჩუბინიძე